ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 10 18/10/40

ქ. თბილისი აპრილი 2023 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, სსიპ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო ს/ნ 205393689 (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი უფროსის მოვალეობის დროებით შემსრულებლის, ოთარ ჩიტიძის სახით, მეორეს მხრივ, სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ ს/ნ 203862622 (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი საფინანსო დეპარტამენტის ფინანსისტის ანა თოლორაიას სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის, „ზ“ ქვეპუნქტის და 21 მუხლის 1[1] პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამკიცებული "გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის და „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ ნორმატიული აქტების გამოქვეყნებისა და მომსახურებისთვის დაწესებული საფასურის ოდენობისა და გადახდის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2022 წლის 6 იანვრის N802 ბრძანების შესაბამისად და მათი გათვალისწინებით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, შეთანხმდნენ შემდეგზე:

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება
და ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია: სსიპ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 5 თანამშრომლებისთვის „მაცნეს“ ვებ გვერდზე (www.matsne.gov.ge) განთავსებული სისტემატიზირებული (კოდიფიცირებულია) სახით ნორმატიული აქტების ელექტრონული მომსახურების სარგებლობის უფლება;

2.2 შესყიდვის საშუალება: გამარტივებული შესყიდვა, საქართველოს ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახდელების გადახდის გზით;

2.3 ხელშეკრულების ღირებულება: 1875 (ათას რვაას სამოცდათხუთმეტი) ლარი, (ერთი მომხმარებლის მომსახურების ღირებულება 375 ლარი) ყველა ხარჯისა და გადასახადის ჩათვლით;

2.4 კლასიფიკატორის კოდი (CPV): 72321000 - მონაცემთა ბაზების დამატებითი მომსახურებები.

3. შესასყიდი ობიექტის ხარისხი, საგარანტიო ვადა და პირობები

3.1 მიმწოდებელი იღებს პასუხისმგებლობას, რომ გაწეული მომსახურება შეესაბამება „შემსყიდველი“ მოთხოვნებს და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.

3.2 მიმწოდებელი აცხადებს, რომ გაწეული მომსახურება არის უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო და იღებს პასუხისმგებლობას მისი წარმოშობის კანონიერებაზე.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ადგილი და პირობები

4.1 მომსახურების მიწოდება განხორციელდება: მომხმარებლის სახელი (username) და პაროლის გადაცემიდან 1 წლის განმავლობაში, რაზეც ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

5. შესასყიდი ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესასყიდი ობიექტის მიღება ხორციელდება „შემსყიდველისა“ და „მიმწოდებლის“ უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისათვის მომხარებლის სახელისა (username) და პაროლის გადაცემით, რაც ასევე ადასტურებს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის ან მისი ნაწილის შესრულებას;

5.2 მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ი არიან სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის შესაბამისი თანამშრომელი.

5.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად ან/და მისი გაფორმების შემდეგ, „მიმწოდებელი“ ვალდებულია წარმოუდგინოს „შემსყიდველს“ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

6. ანგარიშსწორების წესი და პირობები

6.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში - ლარში;

6.2 შესასყიდი ობიექტის ღირებულება დაიფარება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა. გარდა წინამდებარე ხელშეკრულების „6.3" პუნქტის შემთხვევისა.

6.3 იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულების მე-8 მუხლით გათვალისწინებული წესით საჯარიმო სანქციის გამოყენებასთან დაკავშირებით შეტყობინებიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში მიმწოდებლის მიერ არ იქნა წარმოდგენილი საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, შემსყიდველი ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტით განსაზღვრული მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურებისას, ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა შემსყიდველის მიერ დაქვითულ იქნეს, რის შემდეგაც მიმწოდებელს ჩაერიცხება დარჩენილი თანხა.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 „შემსყიდველი" ვალდებულია:

7.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას საქმის კურსში ჩააყენოს "მიმწოდებელი" ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

7.1.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს „მიმწოდებელს" მომსახურების ღირებულება;

7.1.3 კონფიდენციალურად შეინახოს ელექტრონული მომსახურების სისტემით სარგებლობისათვის მომხმარებლის სახელი (username) –პაროლი, უზრუნველყოს მისი დაცვა და არ დაუშვას მესამე პირისათვის მისი გადაცემა. იმ შემთხვევაში, თუ კალენდარული დღის განმავლობაში სისტემიდან გამოსვლის გარეშე პარალელურ რეჟიმში მომხმარებლის სახელით განხორციელდება სხვა კომპიუტერული მოწყობილობიდან სისტემაში შესვლა, მომხმარებელი სისტემის მეშვეობით მიიღებს გაფრთხილებას და მესამე ასეთი ქმედების შემდეგ ამოქმედდება მომხმარებლის სახელის საათობრივი შეზღუდვა;

7.1.4 წრუდგინოს მიმწოდებელს დაზუსტებული და სრული ინფორმაცია დანართი №1 ელექტრონული მომსახურების სისტემაში დაშვებულ თანამშრომელთა შესახებ;

7.2 „შემსყიდველს" უფლება აქვს:

7.2.1 შეამოწმოს გაწეული ომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

7.2.2 მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;

7.2.3 მოსთხოვოს „მიმწოდებელს" ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

7.2.4 თავისი შეხედულებისამებრ შეცვალოს მისთვის გადაცემული პაროლ(ებ)ი და უზრუნველყოს მისი დაცვა;

7.3 „მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.3.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

7.3.2 მიაწოდოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლში მითითებული მომსახურება და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები საკუთრებაში;

7.3.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას საქმის კურსში ჩააყენოს „შემსყიდველი" ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

7.3.4 აუნაზღაუროს „შემსყიდველს" ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით.

7.3.5 საკუთარი ხარჯებით გამოასწოროს შემსყიდველის მიერ გამოვლენილი უხარისხო/ნაკლოვანი მომსახურება.

7.3.6 განახორციელოს მაცნეს ვებ-გვერდზე (www.matsne.gov.ge) ელექტრონული მომსახურების სისტემაში ჩართვა და მომხმარებლის თანამშრომელთა ელექტრონული მომსახურების სისტემაში დაშვება;

7.3.7 უზრუნველყოს მაცნეს ვებ-გვერდზე (www.matsne.gov.ge) განთავსებული სისტემატიზირებული ნორმაყიული აქტებისა და სხვა საინფორმაციო დოკუმენტაციის გამართული მიწოდება;

7.4 „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

7.4.1 მოსთხოვოს „შემსყიდველს“ გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

7.4.2 მოსთხოვოს „შემსყიდველს“ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის დაგვიანებული დღეების რაოდენობა გადააჭარბებს 20 კალენდარულ დღეს შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

8.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არასრულად შესრულებისთვის, ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელი ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%–ის ოდენობით;

8.4 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

8.5 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

9. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

9.1 „შემსყიდველს“ ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელოს გაწეული მომსახურების ხარისხის და ხელშეკრულებასთან შესაბამისობის ინსპექტირება;

9.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი რესურს(ებ)ით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

9.3 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

9.4 ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების კონტროლს განახორციელებს სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის შესაბამისი თანამშრომელი;

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

10.2 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ერთი თვით ადრე წერილობითი შეტყობინების გზით აცნობოს შემსყიდველს.

10.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

10.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.5 შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:

10.5.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის 15 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში;

10.5.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ორჯერ დარღვევის შემთხვევაში;

10.5.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებოურთიერთობის გაგრძელებისადმი.

10.6 წინამდებარე ხელშეკრულების 10.5 პუნქტით გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შეწყვეტამდე ერთი თვით ადრე აცნობოს მიმწოდებელს.

10.7 ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 მხარეები უფლებამოსილნი არიან მოახდინონ ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ცვლილება შეიტანონ მოქმედ ხელშეკრულებაში;

11.2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის ინიციატორმა მხარემ წერილობითი სახით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია;

11.3 დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილების შეტანა, რომლითაც უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველი" ორგანიზაციისათვის ან/და იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა;

11.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;

11.5 იმ შემთხვევაში თუ გაიზრდება საერთო მომხმარებლის რაოდენობა და დაექვემდებარება ნორმატიული აქტით დადგენილი სხვა საფასურის განაკვეთს, ყოველი ახალი მომხმარებლისათვის საფასური განისაზღვრება ახალი განაკვეთის მიხედვით, ხოლო უკვე რეგისტრირებული მომხმარებლების საფასურის განაკვეთი არ შეიცვლება და გადახდილი თანხა უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.

11.6 ხელშეკრულების განმავლობაში მომხმარებელთა რაოდენობისა ან/და ხელშეკრულების ღირებულების შემცირება არ დაიშვება.

11.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. ფორს-მაჟორი

12.1 მხარეები არ აგებენ პასუხს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის გამო და თუ ეს დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების დადების შემდეგ;

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით, დაფინანსების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან;

12.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2023 წლის 20 აპრილიდან 2024 წლის 31 მაისის ჩათვლით;

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით, ხოლო ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს

სასამართლოს მიერ;

14.2 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

15.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით, სადაც გაგზავნილი შეტყობინება/დაკვეთა ჩაითვლება ოფიციალურ დაკვეთად. შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით. ამასთან ტელეფონით დაკვეთის შემთხვევაში მიმწოდებელს 24 საათის განმავლობაში ჩართული უნდა ჰქონდეს 15.2 პუნქტში მითითებული მობილური და ქალაქის ტელეფონის ნომრები;

15.2 ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით ან/და ფაქსით ურთიერთობისათვის გამოყენებულ იქნება:

ა) მიმწოდებლის შემდეგი რეკვიზიტები: ტელეფონის ნომერი 599 87 44 45, ელექტრონული ფოსტა: lkharaishvili@matsne.gov.ge

16. სხვა პირობები

16.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

16.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 1 ეგზემპლარად, რომელზეც დატანილია ორივე მხარის ელექტრონული ხელმოწერა/შტამპი და აქვს იურიდიული ძალა. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.3. ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

16.4. „ხელშეკრულების“ მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს „ხელშეკრულების“ ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის დასათაურებაში ან დანომვრაში ცდომილების/სხვაობის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენება ამავე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის შესაბამისი შინაარსის მქონე მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი.

16.5. „ხელშეკრულების“ ტექსტში მექანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში „მხარეთა“ მიერ, აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი განხილული და განმარტებული უნდა იყოს „ხელშეკრულების“ შესაბამისი წინადადების (წინადადებების) ან/და შინაარსიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი არ შეესაბამება „ხელშეკრულების“ სათანადო წინადადებას/წინადადებებს ან შინაარს, მას (ხარვეზი/შეცდომა) „ხელშეკრულების“ შინაარსის განმარტებასთან დაკავშირებით არ ექნება (არ მიენიჭება) რაიმე მნიშვნელობა.

17. მხარეთა ხელმოწრები და რეკვიზიტები

“შემსყიდველი”
„სსიპ – თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო“
საიდ. კოდი: 205393689
მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. N7
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022

სააგენტოს უფროსის მოვალეობის დროებით
შემსრულებელი
ოთარ ჩიტაძე

“მიმწოდებელი”
სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე

ს/ნ: 203862622
მის: ქ. თბილისი, გურამ ფანჯიკიძის ქუჩა N2
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22
ანგ. N: 707407076

საფინანსო დეპარტამენტის ფინანსისტი
/ანა თოლორაია/

Ana Toloraia
Digitally signed by Ana Toloraia
Date: 2023.04.20 14:08:29 +04'00'

დანართი №1

შენიშვნა:

სტანდარტული პაროლი ექვემდებარება სავალდებულო შეცვლას მომხმარებლის მიერ:

შემსყიდველის მიერ წარმოდგენილ უზუსტობაზე დანართში ასახულ ინფორმაციაზე და მათ საფუძველზე გამოწვეულ შედეგებზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველს.

დანართში მითითებულ პირთა ინფორმაცია, რომლებიც მოიცავს პერსონალურ მონაცემებს ავტომატურად დამუშავებულ იქნება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

მონაცემების დამუშავების თაობაზე მომხმარებლის (სუბიექტი) ინფორმირებულობა და მისი თანხმობის ტვირთი ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

დანართი ივსება ლათინური ასოებით.

№	სახელი, გვარი	მომხმარებლის სახელი (user name)	e-mail	სტანდარტული პაროლი
1	Anano Peradze	Peradze2anano@gmail.com	Peradze2anano@gmail.com	1
2	Otar chitidze	otar.chitidze@gmail.com	otar.chitidze@gmail.com	1
3	Davit Jaiani	D.Jaiani@tbilisi.gov.ge	D.Jaiani@tbilisi.gov.ge	1
4	Nino sabanadze	nino.sabanadze@gmail.com	nino.sabanadze@gmail.com	1
5	Nana bulashvili	nanabulashvili77@gmail.com	nanabulashvili77@gmail.com	1

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი აპრილი 2023 წელი

ქვემოთ ხელის მომწერნი და ხელშეკრულების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირი ვადასტურებ, რომ სსიპ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 5 თანამშრომლებისთვის „მაცნეს“ ვებ გვერდზე (www.matsne.gov.ge) განთავსებული სისტემატიზირებული (კოდიფიცირებულია) სახით ნორმატიული აქტების ელექტრონული მომსახურების სარგებლობის უფლების სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილე მიმწოდებელთან (სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“) მიმართებაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს და ტენდერში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

„სსიპ – თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოვალეობის დროებით შემსრულებელი — ოთარ ჩიტიძე

„სსიპ – თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე — დავით ჯაიანი

„სსიპ – თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ ადმინისტრაციული სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (შესყიდვები) — ლევან ლორია